

ბ ა ხ ა ი ზ მ ი

რელიგია, რომლის მიზანი და მთავარი მოწოდება რელიგიათა გაერთიანება, წარმოიშვა ირანში მე-19 საუკუნეს. აქვს მკაფიოდ გამოხატული ინტერნაციონალური ბუნება, რის გამოც მთელ მსოფლიოში ადვილად გავრცელდა. მსოფლიოში იგი ცნობილია როგორც „Bahai International Community“ („ბაჰაის ინტერნაციონალური კავშირი“) (BIC), სამივე აბრაჰამული რელიგიის ნიშნებს ატარებს. დამაარსებლები: ბაბი (წინამორბედი), ბაჰა-ულა და აბდულ-ბაჰა. სახელწოდება ეწოდა დამაარსებლის ზედწოდებიდან- ბაჰა-ულა, რაც არაბულად „ღვთის დიდებას“ ნიშნავს.

მიმდევრების რაოდენობა 7,5 მლნ. აღწევს. ისინი ძირითადად ირანში, ინდოეთში, აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში და აშშ-ში ცხოვრობენ. ბაჰაის სიმბოლოა ცხრაქიმიანი ვარსკვლავი.

ბაბიმ 1844წ. 22 მაისს მიიღო პირველად გამოცხადება, რომელიც ღვთის შემეცნების ახალ გზაზე მიანიშნებდა. მან ეს შეაფასა, როგორც უფლება ახალი რელიგიური მოძრაობის დაწყებისა და ქადაგებას შეუდგა. მას ბევრი შიიტები გაჰყვნენ, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას წააწყდა მუსლიმ ღვთისმეტყველებისა და სასულიერო პირებისაგან.

მის მიერ ჩამოყალიბებულ მოძრაობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ადამიანის უფლებებს. აქცენტი გადანილი იყო ქალთა უფლებებს და პიროვნებებისა და ენების თანასწორუფლებიანობაზე, რაც ისლამური დოგმატიკისა და შარიათის კრიტიკას გულისხმობდა. 1847 წ. ბაბი დააპატიმრეს, მაგრამ მისი თანამოაზრეების დაშინება ვერ შესძლეს. ბაბის მიმდევრები ოფიციალურად მუსლიმთა თემს გამოეყვნენ 1848 წელს. ამ დროს ბადაშტში(ირანი) შედგა ბაბის ყველაზე გავლენიან მომხრეთა კრება, რომელშიც ბევრი ქალი მონაწილეობდა, მათ შორის იყო ორატორი ქალი ქუარ ალ აინი, რომელიც ქალთა ემანსიპაციის პიონერად და სიმბოლოდ იქცა. შაჰის მთავრობა მათ ძალიან ავიწროვებდა, ბაბის მიმდევრებმა მას ჯიჰადი გამოუცხადეს. 1850 წლის 9 ივლისს ბაბი ტებრიზში საჯაროდ

დახვრიტეს. ტერორი მის მიმდევრების მიმართ 1853 წლამდე გრძელდებოდა. მისი იდეები გავცელდა თეირანის ელიტურ ოჯახებშიც. სახელმწიფო მინისტრის შვილები, ნახევარძმები- მირზა უსეინ ალი ნური, რომელსაც ბაბა-ულა ეწოდა და მირზა იაჰუა ნური, რომელსაც სუბი აზალი (არაბულად „მარადისობის განთიადი“) ეწოდა, ამ მოძრაობის ერთგული მიმდევრები და ლიდერები გახდნენ.

1852 წ. ბაბა-ულაც დააპატიმრეს და თეირანის სიაჰ-ხალის ციხეში ჩააგდეს. მისი ბევრი მიმდევარი სიკვდილით დასაჯეს, მისი ფიზიკური განადგურება ვერ შესძლეს. მან აუწერელი ტანჯვა-წამებასთან ერთად დიდი მისტიკური გამოცდილება შეიძინა. ჯანგატეხილი ბაბა-ულა დიპლომატიური სამსახურების ჩარევით, სახელმწიფოდან გააძევეს. ის ბაღდადში დასახლდა. მას სუბი-აზალი და ბაბის რამდენიმე თანამებრძოლნიც გაჰყვნენ, მაგრამ ძმების შორის უთანხმოებამ იჩინა თავი და ბაბი-ულა ქურთისტანის მთებში დერვიშად წავიდა. 1856 წელს იგი ბაღდადში ბრუნდება და ლიტერატურულ-თეოლოგიურ მოღვაწეობას იწყებს. ამ დროს მან შექმნა ცნობილი წიგნები: “შვიდი ხევი“ და „დაფარული სიტყვა“. 1862 წ. კი - თავისი ფუნდამენტალური ნაშრომი-„ რწმენის წიგნი“. 1863 წლის 8 აპრილს სტამბოლში ბაბ-ულამ მის მიმდევრებს განუცხადა, რომ ის მხოლოდ იმას ქადაგებს და აკეთებს, რაც ბაბამ უანდერძა. მისი მიმდევრები ამ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ძმების შორის დაპირისპირება გრძელდებოდა. ვინც ბაბა-ულას მხარი დაუჭირა ბაჰაიტები უწოდეს. იმათ კი ვინც არც ერთ ძმას მხარი არ დაუჭირა, ბაბაისტები. მათი რიცხვი 2000 არ აღემატება. ორივე ძმა დასაჯეს. პატიმრობაში მყოფი ბაბა-ულა აგრძელებს თეოლოგიურ-რელიგიურ მოღვაწეობას. წერს წიგნს „ქითაბ აქდა“(„უწმინდესი წიგნი“).1892 წელს ბაბა-ულა გარდაიცვალა.

ბაჰაის მოძღვრებას ირანში მცხოვრები მანუჩარ ბაგრატიონიც ეზიარა. ის ისპაჰანის გუბერნატორი იყო. კავკასიაში ბაჰაის სარწმუნოება მე 20-ე საუკუნის დამდეგს შემოვიდა. მიმდევრები ძირითადად აზერბაიჯანლები იყვნენ, მათ შორის რამდენიმე ქართველიც იყო, მაგრამ მათ კომუნისტური რეჟიმის პირობებში ვერ იარსებეს. მათ იატაკქვეშეთში ცხოვრება ირჩიეს.

1992 წ. თბილისში ბაკაელთა პირველი თემი შეიქმნა ირანელი რაოჰანისა და ინდოელი აფშინას ჩამოსვლის შემდეგ. დაარსდა „ბაკაის ეროვნული სასულიერო საკრებულო“. 2008 წ თებერვალში დარეგისტრირდნენ. საკრებულოები აქვთ თბილისში, ბათუმში, რუსთავში. მათი მიმდევრების რაოდენობა 400-მდე კაცია. გამომცემლურ მოღვაწეობას არ ეწევიან.